# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-47

27/01/2022

ქ. თბილისი

**„შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიულ საწვავად საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენება) (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N 2-1113 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N 2-1113 ბრძანებით გაიცა ,,შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიულ საწვავად საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენება) (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე'' სკოპინგის დასკვნა N 114 (14.11.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიულ საწვავად საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენება) (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N 2-1113 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას";
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი